ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ამბროლაურის კულტურის ცენტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ78. 76251762
თარიღი:25/06/2025

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის ,,მწიგნობარი 2025'' პროგრამისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 52–ე, 54-ე მუხლების; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი''-ს წესდების მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის 5.3.1 და 5.3.9 ქვეპუნქტებისა და ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრის"-ს 2025 წლის ბიუჯეტის და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე'' ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორის 24/12/2024 N:ბ78. 76243591 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის ,,მწიგნობარი 2025'' პროგრამა დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის ,,მწიგნობარი 2025'' დებულება დანართი N2-ის შესაბამისად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ერთჯერადად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან, შემდგომ ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური, კოსტავას ქ. №13).
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

თამაზ დაუშვილი

ამბროლაურის კულტურის ცენტრი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1

ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი- 2025“

მუხლი 1. პრობლემების განსაზღვრა

რაჭა, საქართველოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი მხარეა თავისი ბუნებით, ფლორით და ფაუნით, კულტურული მემკვიდრეობით, ფოლკლორით, ეთნოგრაფიით, ხალხური რეწვის ტრადიციებით, ისტორიული ძეგლებითა და საქვეყნოდ განთქმული ღვინით „ხვანჭკარა“. ყველა ამ საკითხის მიუხედავად, დემოგრაფიული პრობლემების გამო, მისი გენიალურობა ფერმკრთალდება და საფრთხე ემუქრება.

მეორე მხრივ, საერთაშორისო გამოკითხვების თანახმად, საქართველო განთესილია ნაკლებად წიგნიერი ქვეყნების რიგში, რაც ჩვენთვის ძალზე მტკივნეულია.

რაჭის რეგიონის კულტურისა და საბიბლიოთეკო სფერო ,როგორც ხელოვნებისა და განათლების კერა, უახლოეს წარსულში არსებული სოციალ-ეკონომიკური ვითარების გამო, მეტად რთულ პირობებში აღმოჩნდა,როგორც საზოგადოებრივი, ისე ფინანსური თვალსაზრისით. ის რაც უძველესი და უნიკალურია, ერისა და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მიდგომებს საჭიროებს, აქცენტი მის გადარჩენასა და პოპულარიზაციაზე უნდა გაკეთდეს.

დღევანდელი რეალობა მძიმეა, ახალგაზრდობის წიგნის მიმართ დამოკიდებულებამ ძირეული ცვლილებები განიცადა - წიგნი ჩაანაცვლა ელექტრონულმა რესურსებმა, რასაც ბევრი მიზეზი აქვს: მოძველებული წიგნიობრივი ფონდები, შესაბამისი ფინანსების უქონლობა, წიგნის კითხვის მიმართ დაბალი ინტერესი.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

1. მომავალ თაობებში წიგნის კითხვის სურვილის გაღვიძება და წიგნიერების დონის ამაღლება.
2. საბიბლიოთეკო ცხოვრების და წიგნიერების პოპულარიზაცია.
3. ნიჭიერი ადამიანების, ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენა და საზოგადოებისთვის მათი გაცნობა.
4. წიგნის მოყვარული ყველა თაობის ადამიანის კონკურსში ჩაბმა.
5. გამოჩენილი მწერლებისა და პოეტების ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა.
6. მწერლების მიერ საკუთარი ნაწარმოებების წარდგენა მკითხველის წინაშე.
7. მკითხველთა უშვალო კონტაქტები ცნობილ მწერლებთან, პოეტებსა და ხელოვნების თანამედროვე, ცნობილ მოღვაწეებთან.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების მიზნები და ამოცანები

1. საორგანიზაციო ჯგუფის შექმნა
2. ღონისძიების ჩატარების ადგილის შერჩევა და დროის განსაზღვრა.
3. საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა.
4. მოწვეული მწერლების და პოეტების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა (ჩამოყვანა და წაყვანა) დაბინავება - კვება.
5. ფასიანი საჩუქრების შეძენა.
6. საორგანიზაციო ჯგუფის მიერ კომპეტენტური ჟიურის შექმნა.
7. კონსულტაციები საჯარო სკოლებსა და ბიბლიოთეკებთან.

დანართი N2

ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

„მწიგნობარი 2025"-ს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.წინამდებარე დებულება ადგენს კონკურსის ჩატარების წესებს.
2.კონკურსის ჩატარების მიზანია სამკითხველო უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა, წიგნიერების დონის ამაღლება.
3.კონკურსი ტარდება ქართულ (სახელმწიფო) ენაზე.

მუხლი 2. კონკურსის ჩატარების წესი

1.კონკურსის ორგანიზატორია ა(ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი''.
2.კონკურსი ტარდება შვიდი წევრით დაკომპლექტებული ჟიურის მეშვეობით.
3.ჟიურის თავჯდომარე ირჩევა, ჟიურის წევრების მიერ, 1 (ერთი) წლის ვადით.
4.ჟიურის თავჯდომარეს უფლება აქვს, არგუმენტირებულად დააყენოს, ჟიურის ნებისმიერი წევრის შეცვლის საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს ჟიურის წევრების ხმათა უმრავლესობით.
5.კონკურსი ტარდება ნომინაციების მიხედვით შერჩეული ლიტერატურის შინაარსზე დაფუძნებული ტესტების გამოყენებით, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტების მიერ.
6.კონკურსი ტარდება 11 (თერთმეტი) სხვადასხვა ნომინაციაში.
7. სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა ყველა ის პრიზი და სიგელი რომელიც, მან კონკურსის ფარგლებში მოიპოვა.
8.თანაბარი ქულების შემთხვევაში მოხდება დამატებითი კითხვების დასმა კონკურსანტებისათვის. დამატებითი კითხვა შეეხება საკონკურსოდ შერჩეულ ლიტერატურას და ბაჩანა ბრეგვაძის ბიოგრაფიას.
8.ტესტებისთვის განკუთვნილი დრო განისაზღვრება არაუმეტეს 25 წუთით.
9.ნომინაცია „თავისუფალი თემა" წერითია. ნომინაციისთვის განკუთვნილი დრო შესაძლებელია განისაზღვროს რამდენიმე საათით.
10.ნომინაცია ,,ვეფხისტყაოსანი" და „დრამატურგია" განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ მთელი საქართველოს მასშტაბით, ჩამობრძანდნენ ამბროლაურში და მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ კონკურსში. ამ ნომინაციებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეებსაც, რომლებსაც სურვილი აქვთ თავიანთი ძალები და შესაძლებლობები მოსინჯონ აღნიშნულ ნომინაციებში. სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამობრძანებული მონაწილეების დაბინავება და კვება უნდა უზრუნველყონ წარმომდგენმა მუნიციპალიტეტებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა ან მონაწილეებმა საკუთარი ხარჯებით.
11.ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან, ყველა აბიტურიენტს ეძლევა უფლება, მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ ნომინაციაში (საბავშვოს გარდა).
12.საკონკურსო თემები და ტესტები ჟიურისა და კონკურსანტებისთვის ცნობილი გახდება უშუალოდ კონკურსის დაწყების წინ.

13.ჟიურის წევრი არ შეიძლება იყოს იმ საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი/პედაგოგი, რომელსაც წარმოადგენს მონაწილე, ასევე დაუშვებელია კონკურსანტი იყოს ჟიურის წევრისადმი დამოკიდებული პირი (ოჯახის წევრი). რამეთუ მათ შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობა შესაძლებელია ნეგატიურად აისახოს მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებაზე.
14. გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქარი და სპეციალური სიგელი.
15. პროექტის ფარგლებში ნომინაციებში გამარჯვებულთა ფულადი ჯილდოები შემდეგნაირად განისაზღვროს:
15.1. ნომინაცია ,,ვეფხისტყაოსანი" I ადგილი - ფულადი ჯილდო 1000 (ათასი) ლარი;
15.2. სხვა დანარჩენ 10 ნომინაციაში I ადგილი- ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარი;
15.3. პროექტის ფარგლებში არსებულ ყველა ნომინაციაში - II ადგილი ფულადი ჯილდო - 200 (ორასი) ლარი;
15.4. სხვავასხვა წლებში ან მიმდინარე კონკურსის დროს სამჯერ გამარჯვების შემთხვევაში, დამატებით გაიცემა სპეციალური ფულადი ჯილდო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
16. საბავშვო ნომინაცია განისაზღვრება 11 დან - 15 წლის ჩათვლით, მაგრამ არ მოიაზრებს მეცხრეკლასელთა დაშვებას ამ ნომინაციაში. მათ უფლება აქვთ აირჩიონ ნებისმიერი სხვა ნომინაცია.
17. ჟიური ვალდებულია დაადგინოს საკონკურსო ნომინაციების მინიმალური ზღვარი.

მუხლი 3. კონკურსის ჩატარების ტექნიკური მხარე

1.კონკურსის ჩასატარებელი სივრცის გამოყოფას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი".
2. რეგისტრაცია დაიწყება კონკურსის დაწყებამდე 30 წუთით ადრე.
3.კონკურსი ტარდება ტესტირების რეჟიმში. იგი შედგება 20–25 კითხვისაგან - თითოეულისთვის 4 სავარაუდო პასუხით.
4. საკონკურსო სივრცეში, კონკურსანტების მიერ დროის კონტროლის მიზნით უნდა განთავსდეს საათი.
5.აკრძალულია კონკურსზე მობილური ტელეფონით შესვლა. დაშვებულია, მხოლოდ სასმელი წყლის შეტანა.
7. აკრძალულია ტესტირების დაწყება ჟიურის შესაბამისი ნებართვის გარეშე.
8.დებულებით დადგენილი შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

მუხლი 4. მიმდინარე დებულებანი

1. დებულებაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია პროექტის ავტორს გურამ გორდეზიანს და (ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი"-ს დირექტორს.
2. დებულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დანართი N2-1

ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

„მწიგნობარი 2025"-ს საკონკურსოდ შერჩეული ლიტერატურის ჩამონათვალი ნომინაციების მიხედვით.

I- ისტორიული რომანი

- ტრფობა წამებული - ვასილ ბარნოვი
- შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა - პროსპერ მერიმე
- ბულბული - ქრისტინ ჰანა
- -ფარშევანგი - აკა მორჩილაძე

II- თანამედროვე მწერლობა

- ხვლიკი საფლავის ქვაზე - არჩილ ქიქოძე
- იქ, სადაც კიბორჩხალები მღერიან - დელია ოუენსი
- ოქროს სახლი - სალმან რუშდი

შესწორებები - ჯონათან ფრენზენი

III- მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მწერლობა

- ჩევენგური - ანდრეი პლატონოვი
- ეშმაკის ბორბალი - გურამ ფანჯიკიძე
- კენტავრი - ჯონ აპდაიკი
- ამბოხის გზა - რიჩარდ იეიტსი

IV- საბავშვო მწერლობა

- ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი -ლევან ბოლქვაძე
- ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი - მარკ ტვენი
- კალე ბლუმკვისტი და რასმუსი - ასტრიდ ლინდგრენი
- მე, ბებია, ილიკო და ილარიონი - ნოდარ დუმბაძე
- უღუ და თეთ - ნინო ნაკაშიძე

V- ლიტერატურული შედევრი

- მისტერიები - კნუტ ჰამსუნი
- ოსტატი და მარგარიტა - მიხაილ ბულგაკოვი
- ამპარტავნობა და ამოჩემება - ჯეინ ოსტინი
- მეტამორფოზა - ფრანც კაფკა
- დათვი - უილიამ ფოლკნერი

VI- პუბლიცისტიკა და ესე

- მექსიკური დღიური - არჩილ ქიქოძე
- ინდოეთის დღიური - არჩილ ქიქოძე
- ნორვეგიული დღიური - არჩილ ქიქოძე
- ქართველი ევროპაში - სერგეი მესხი.
- იმედი არ გქონდეთ, რომ წიგნებს მოიშორებთ - უმბერტო ეკო

VII- ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები

- ახალი ცხოვრება - დანტე ალიგიერი
- ფიქრები - მარკუს ავრელიუსი

- მთავარი - მაკიაველი .
- პატარა უფლისწული - ანტუან დე სენტ ეგზიუპერი

VIII- დრამატურგია

- „მედეა“ - ევრიპიდე
- „ყაჩაღები“ - ფრიდრიხ შილერი
- „ანტიგონე“- ჟან ანუი
- „ირინეს ბედნიერება“- დავით კლდიაშვილი
- „ყვარყვარე თუთაბერი“ - პოლიკარპე კაკაბაძე

IX- პოეზია

მიხა ხელაშვილი

- ლექსო, ამოგთომ, ოხერო
- ავი სიზმარი
- დედის სიკვდილზედ

ალექსანდრე საჯაია

- თოვლი თოვს
- თოვლის ქალი

მირზა გელოვანი

- დედას
- თოვლი
- ცხრაკარა

აღმოსავლური პოეზია

(ალექსანდრე ელერდაშვილის თარგმანები)

- ჯალალ ედ-დინ რუმი „ ოდეს ჩემს სხეულს გავეყრები“
- ჰაფეზი „ყაზალი 006“

ზურაბ გორგილაძე

- ორი რუსთაველი
- სულხან-საბა
- ფიცი

ზაალ ებანოიძე

- ხავსი
- თოხი

ჯემალ ინჯია

- შენა თქვი
- სირბილი უთოვლო ზამთარში
- სამშაბათს

ენდი ნემსიწვერიძე

- დილის ლექსი
- მკვდარიც გავცოცხლდე ისე ხანდახან
- რა დრო ყოფილა

X- თავისუფალი თემა

XI- ვეფხისტყაოსანი